პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 225 (7536)

26 ნოემბერი, შაბათი. 1983 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საკდესის ცნობა

## 150 დღე-ღამის ფრენა წარმატებით დამთავრდა

**კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ალექსანდრე ალექსანდროვი დაბრუნდნენ დედამიწაზე**

**კოსმონავტებმა** ამხანაგებმა ვლადიმერ ათანასეს ძე ლიახოვმა და ალექსანდრე პავლეს ძე ალექსანდროვმა წარმატებით დაამთავრეს „სალიუტ—7"—„სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით 150 დღე-ღამის ფრენის პროგრამა და 1983 წლის 23 ნოემბერს მოსკოვის დროით 22 საათსა და 58 წუთზე დაბრუნდნენ დედამიწაზე.

ხანგრძლივი ფრენის მანძილზე ეკიპაჟმა შეასრულა დიდი მოცულობის სამეცნიერო-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები და ექსპერიმენტები.

• • •

**იმასთან** დაკავშირებით, რომ წარმატებით დამთავრდა „სალიუტ 7" — „სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის 150 დღე-ღამის ფრენა კოსმოსში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ამხ. ვ. ა. ლიახოვი დაჯილდოვდა ლენინის ორდენითა და მეორე „ოქროს ვარსკვლავის" მედლით, ხოლო კოსმონავტ მფრინავს ა. პ. ალექსანდროვს მიენიჭა სსრ კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის" მედალი. ამასთან ვ. ა. ლიახოვის მამაცობის აღსანიშნავად გმირის სამშობლოში დაიდგმება მისი ბრინჯაოს ბიუსტი.

## იოსელიანი—სემიონოვა

### მეხუთე პარტია

როგორც ვიუწყებოდით, 23 ნოემბერს ნ. იოსელიანმა წააგო წინადღით გადადებული პარტია, აი, როგორ მოხდა ეს:

სემიონოვა



იოსელიანი

ქართველმა დიდოსტატმა პარტია ეტლების ენდშპილში გაიყვანა და მაქსიმალურად გაუძნელა სემიონოვას უპირატესობის რეალიზება. მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გამოიყენა ყაიმის შანსი და დამარცხდა.

42. ...ეa1+ (ჩაწერილი სვლა) 43. მფh2 f4 44. ეd8+ მფh7 45. ეf8 ეa4 46. კe1 მc5 47. b4 მe6 48. ეe8 მc7 49. ეe4 მd5 50. კd2 g5 51. ეd4 მe3 52. კ×e3 f×e3 53. მფg3 h5 54. მფf3 ეa3 55. ეd7+ მფg6 56. ეd6+ მფf5 57. ეd5+ მფf6 58. h4 g4+ 59. მფe2 ეa2+ 60. მფ×e3 ე×g2 61. ე×h5 ეb2 62. b5 g3 63. ეg5 g2 64. მფd3 ე×b5 65. ე×g2 ეc5 66. მფd4 ეh5 67. ეh2 მფe6 68. მფc4 მფd6 69. მფb4 მფc6 70. ეc2+ მფb7 71. ეh2 a5+ 72. მფa4 მფa6 73. ეh3 b5+ 74. მფb3 მფb6 75. ეh1 მფc5 76. ეc1+ მფb6 77. ეh1 a4+ 78. მფb4 ეf5 79. მფa3 ეf2 80. ეg1 ეh2 81. ეg8 ეh3+ 82. მფa2 ე×h4 83. მფa3 ეh3+ 84. მფa2 მფa5 85. ეg4 ეh2+ 86. მფb1 a3 87. მფa1 b4 88. ეg3 მფa4 89. ეg4 ეd2 90. ეh4 მფb3 91. ეh3+ მფc4. თეთრები დანებდნენ.

24 ნოემბერს დიდოსტატებს მორიგი, მეექვსე პარტია უნდა გაეთამაშათ, მაგრამ იგი არ შედგა. იოსელიანმა „ტაიმ-აუტი" აიღო. მეექვსე პარტია დღეს, 26 ნოემბერს გაიმართება.

ამრიგად, დაგომისის მატჩში კვლავ წინაა სემიონოვა — 3:2.

## ალექსანდრია—ლევიტინა

### მეექვსე პარტია

**ნ. ალექსანდრია** — ი. ლევიტინას მატჩში, რომელიც დუბნაში მიმდინარეობს, ანგარიში გათანაბრდა — 3:3. მეექვსე პარტიაში ქართველმა დიდოსტატმა სძლია მეტოქეს.

ლაზიერის გამბიტში ალექსანდრიამ მე-9 სვლაზე გაბედულად და გამომწვევად ითამაშა. მისმა მეფემ, რომელიც უროქოდ დარჩა, ლევიტინას მთელი ყურადღება მიიპყრო. ჩვეულებრივ, ცენტრში დაყოვნებული მეფე იერიშის საუცხოო ობიექტია, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი დალაშქვრა პრობლემატური ჩანდა. ლევიტინამ ჯერ ერთი, მერე მეორე მხედარი გაიღო მსხვერპლად, მაგრამ საწადელს ვერ მიწვდა. ალექსანდრია თავგამოდებით და დაკვირვებით იგერიებდა მუქარას. ბოლოს ლევიტინას მხოლოდ მოიერიშე ლაზიერი დარჩა, მაშინ როცა ალექსანდრიას მეფე მრავალი ფიგურით გარშემორტყმული საიმედოდ იყო დაცული. 27-ე სვლაზე ლევიტინამ პირველი წაგება იწვნია.

ლევიტინა — ალექსანდრია

ლაზიერის გამბიტი

1. მf3 მf6 2. c4 e6 3. მc3 d5 4. d4 კb4 5. c×d5 e×d5 6. კg5 მbd7. 7 e3 c5 8. კ×f6 კ×f6 9. კb5+



9. ...მფe7 10. 0—0 c4 11. მe5 ლa5 12. მ×d5+ მ×d5 13. კ×c4 f6 14. ლf3 მb6 15. a3 კd6 16. ლh5 f×e5 17. ლg5+ მფe8 18. ლ×g7 ეf8 19. b4 ლa4 20. d×e5 მ×c4 21. e×d6 ლd7 22. ლg3 ლ×d6 23. ლh4 მe5 24. ეad1 ლe7 25. ლh5+ ეf7 26. f4 მg4 27. e4 მe3. თეთრები დანებდნენ.

დღეს, გაიმართება მეშვიდე პარტია.

## სმისლოვმა ჯერ მოიგო, მერე წააგო

### პირველი პარტია

**23 ნოემბერს** ლონდონში დამთავრდა სმისლოვ-რიბლის მატჩის გადადებული პირველი პარტია. სმისლოვმა ვირტუოზულად გამოიყენა მცირე პოზიციური უპირატესობა და გაიმარჯვა.

აი, ამ პარტიის დაბოლოება:

რიბლი



სმისლოვი

41. ...ეac8 42. h5 f4 43. h6 კf5 44. ეg7+მფh8 45. ეff7 g5 46. მd4 ეc1+ 47. მფh2 კg6 48. ეf6 ე1c5 49. ეd7 ეg8 50. ეe7 ეa5 51. მc6 ეa6 52. ეee6 კh5 53. მe5 ეa7 54. ეf5 ეb7 55. ეd6 ეa7 56. ეb6 ეe7 57. ეbf6 ეee8 58. მc4 g4 59. მe5 g×f3 60. ე×h5 ე×g2+ 61. მფh3 ეg3+ 62. მფh4 f2 63. ე×f4 ეg1 64. ეhf5 ეh1+ 65. მფg3. შავები დანებდნენ.

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

●

24 ნოემბერს მეტოქეებმა მეორე პარტია გამართეს. შეხვედრის ბედი გადაწყდა ცაიტნოტში, სადაც ბოლო შეცდომა სმისლოვმა დაუშვა. რიბლიმ რევანში აიღო.

გთავაზობთ მეორე პარტიას.

რიბლი — სმისლოვი

ახალინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 კb4+ 4. კd2 a5 5. g3 d5 6. ლc2 მc6 7. a3 კe7 8. კg2 d×c4 9. ლ×c4 ლd5 10. ლd3 0—0 11. მc3 ლh5 12. 0—0 ეd8 13. ლc4 კd7 14. ეfe1 მd5 15. e4 მb6 16. ლd3 a4 17. h3 f6 18. d5 მa5 19. ეad1 მbc4 20. კc1 e5 21. მh4 b5 22. მf5 კf8 23. ლc2 მd6 24. g4 ლf7 25. f4 მ×f5 26. e×f5 e×f4 27. d6 c6 28. მ×b5 ლc4 29. მc3 კ×d6 30. ლ×a4 კe5 31. ეe4 ლ×a4 32. ე×a4 კe8 33. ე×d8 ე×d8 34. კ×f4 კ×f4 35. ე×f4 მb3 36. ეb4 მd4 37. a4 მc2 38. ეb6 მe3 39. a5 მc4 40. ეa6 ეb8 41. კf1 მe5 42. ეb6. შავები დანებდნენ

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 1:1. დიდოსტატები დღეს კვლავ მიუსხდებიან დაფას — გაიმართება მესამე პარტია.

## პოზიციური თამაში

**ოთხშაბათს,** 23 ნოემბერს გ. კასპაროვმა და ვ. კორჩნოიმ მეორე პარტია გამართეს.

საბჭოთა დიდოსტატმა შავებით თავის საყვარელ ტარაშის დაცვას მიმართა, მაგრამ აქტიური თამაში არ გამოუვიდა. კორჩნოიმ ბრძოლას პოზიციური მიმართულება მისცა. შეხვედრა გაგრძელდა 31-ე სვლამდე და კორჩნოის წინადადებით მეტოქენი დაზავდნენ.

### მეორე პარტია

კორჩნოი — კასპაროვი

ტარაშის დაცვა

1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 c5 4. c×d5 e×d5 5. მf3 მc6 6. g3 მf6 7. კg2 კe7 8. 0—0 0—0 9. კg5 c×d4 10. მ×d4 h6 11. კe3 ეe8 12. a3 კe6 13. ლb3 ლd7 14. მ×e6 f×e6 15. ეad1 კd6 16. კc1 მფh8 17. ლa4 ლe7 18. e3 a6 19. ლh4 ეac8 20. e4 d4 21. მe2 e5 22. კh3 ეc7 23. კg5 მფg8 24. კ×f6 ლ×f6 25. ლ×f6 g×f6 26. მc1 მa5 27. მd3 მb3 28. კf5 a5 29. მფg2 მფg7 30. მფh3 ეee7 31. მc1. ყაიმი.

გუშინ, 25 ნოემბერს საღამოს მოჭადრაკეები მესამე პარტიას თამაშობდნენ.

ჯერჯერობით კვლავ წინაა კორჩნოი — 1,5:0,5.

● ჭადრაკი

## ცაიტნოტი „ნამოევარათ"...

**ვილნიუსში** გრძელდება სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატი. 6 ტურის შემდეგ ლიდერობენ ნ. გურიელი — 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ნ. გაფრინდაშვილი (ორივე — თბილისი), ე. ახმილოვსკაია (ბიჭვინთა), მ. ლიტინსკაია (ლვოვი) — 3,5-3,5 (1-1).

ბრძოლა უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ყოველ ტურში დაუმთავრებელი რჩება ნახევარზე მეტი პარტია.

VI ტურში გურიელმა ლ. ზაიცევასთან (მოსკოვი) ფრანგულ დაცვაში ვერ მიიღო სადებიუტო უპირატესობა, პირიქით, ნაჩქარევი მანევრის შედეგად პაიკი დაკარგა. მაგრამ გურიელი დაჟინებით ეძებდა იერიშის გზას. ცაიტნოტში დაკვირვებულად მოთამაშე ზაიცევამ კიდევ სამი პაიკი მოიგო. პარტია გადაიდო.

უშედეგოთ თამაში გააჩაღეს გაფრინდაშვილმა და ახმილოვსკაიამ. ბიჭვინთელმა დიდოსტატმა ხარისხი შეწირა იერიშის უვნებელსაყოფად. ამასობაში მეტოქეს ცაიტნოტი „წამოეპარა" და ნერვიულ თამაშს დაზავება ამჯობინეს.

ლიტინსკაიამ დაამარცხა ნ. რუჩიევა (სევასტოპოლი), რ. ეიდელსონმა (ვიტებსკი) — ტ. ზატულოვსკაია და ა. ახშარუმოვამ (ორივე — მოსკოვი) — ს. მატვეევა (ფრუნზე). ყაიმზე შეთანხმდნენ ლ. მუჩნიკი (ნიკოლაევი) — ი. ეროსლანოვა (მოსკოვი) და ო. პედკო (ჩელიაბინსკი) — ი. ოსტრიი (ფრუნზე).

სამი პარტია გადაიდო.





დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატის უძლიერესი ექვსეულის ფინალური ტურნირი კალათბურთში

●

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ალპინიზმის სათავეებთან

**გიორგი** ნიკოლაძე, ალექსანდრე დიდებულიძე, იაგორ კაზალიკაშვილი, გახა წიკლაური, და-ძმა ჯაფარიძეები, შოთა და დევი მიქელაძეები, სოსო ასლანიშვილი, ასმათ ნიკოლაიშვილი, ელიკო ლორთქიფანიძე, მარო ტყავაძე, მარო ბეჟანიშვილი, ლიტუსი ჩხეიძე... 60 წელია მოწიწებით ახსენებენ ამ სახელებს საქართველოში, რადგან მათ ხვდათ წილად საბჭოთა მთამსვლელობის ფუძემდებლობა — პირველებმა გაკვალეს გზა კავკასიონის მწვერვალებისაკენ.

ამ დიდებულ მოღვაწეთა გახსენებას მივყავართ ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დასაწყისთან, როცა პროფესორების გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიდებულიძის მეთაურობით, იაგორ კაზალიკაშვილისა და გახა წიკლაურის მეგზურობით, მყინვარწვერზე პირველად მიიტანეს იერიში ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა „გოგო-ბიჭებმა“ და ქვეყანა აალაპარაკეს საგმირო საქმეებით. 1923 წლის ზაფხულის მიწურულს, ერთბაშად ახმაურდა კავკასიონი და ამ ხმაურის ექო შემდგომ პამირისა და ტიან-შანის მწვერვალებსაც მისწვდა. და დღეს, როცა პრაქტიკულად აღარ არსებობს აუღებელი მწვერვალი და საბჭოთა მთამსვლელებმა „მსოფლიოს ბანი“ — ევერესტიც კი დაიმორჩილეს, ჩვენდა უნებურად უკან ვიხედებით და იმ დროს ვიხსენებთ, როცა კავკასიონზე პირველ ნაბიჯებს დგამდნენ „მთასვლა-მგზავრობაში თოკში ერთად ჩაბმული შეფიცული დაძმანი“. დასანანია, რომ ბევრი მათგანი დღეს ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ დაუვიწყარია მათი სახელები, რადგან სასიქადულო მწერლისა და მთამსვლელის ლევან გოთუას თქმისა არ იყოს: „დალუპულ ახლო მეგობრის გახსენება ყოველთვის იწვევს ძველი ნაიარევის მწვავე ტკივილს, მაგრამ ამ გრძნობას მუდამ ახლავს ერთად განვლილი ცხოვრების შთამბეჭდავი სურათების აღდგენა და მათი ხელახალი, გულისხმიერი გააზრება“.

• • •

ჯაფარიძეთა მთამსვლურ ოჯახში დაცულ არქივზე მუშაობისას, კერძოდ, სიმონ ჯაფარიძის პირად არქივში, მრავალი საყურადღებო წერილი, დღიური, საბუთი თუ ჩანაწერი გამოჩნდა, რომელთა გაცნობით იმ დღეების უშუალო მოწმენი ვხდებით, როცა ქართული ალპინიზმი ფეხს იდგამდა და მეოცნებე ენთუზიასტთა ერთმა ჯგუფმა თავს იდო ამ მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო საქმის ორგანიზაცია. ვფიქრობ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, საბჭოთა მთამსვლელობის ისტორიის ზოგიერთ ცნობილ ფაქტთან ერთად, გავეცნოთ სრულიად ახალ, დღემდე გამოუქვეყნებელ მასალასაც, რომელიც ერთგვარად შეავსებს და გაამდიდრებს საბჭოთა და კერძოდ, ქართული ალპინიზმის არც თუ ღარიბ ისტორიას, რადგან, ისევ ლევან გოთუას სიტყვები რომ მოვიშველიოთ „ჩვენში მთამსვლელობა, მარტო მთაზე მსვლელობა არასოდეს არ ყოფილა, იგი ჩვენი ეროვნული ყოფით, ისტორიითა და გეოგრაფიით ნაკარნახევი ვაჟკაცური მოღვაწეობა იყო და არის“.

ქართველმა მთამსვლელებმა, გარდა იმისა, რომ საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა ალპინიზმს, თავიდანვე განსაზღვრეს მისი არსი და მნიშვნელობა, დასახეს მთამსვლელობის შემდგომი განვითარების გზები, რაშიაც ფასდაუდებელი როლი შეასრულა 1924 წელს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დაარსებამ და ამ საზოგადოებაში მთასვლა-მგზავრობის განყოფილების შექმნამ. მისი საქმიანობის შესახებ გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთ ადრინდელ ანგარიშში დავით დონდუა წერდა: „...საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება ყოველთვის თავის ყურადღების ცენტრში აყენებდა ექსპედიციების, მთამსვლელობის, მოგზაურობათა და ექსკურსიების საკითხებს. საზოგადოების განყოფილებათა თუ სექციათა შორისაც ყოველთვის ყველაზე უფრო ქმედუნარიანობას ამ საქმის ხელმძღვანელი ორგანო იჩენდა. საზოგადოების თვით დაარსებაც დააჩქარა და უზრუნველჰყო იმ ორმა ექსპედიციამ, რომელიც მოეწყო საქართველოში 1923 წელს.

გ. ნიკოლაძის და ა. დიდებულიძის ეს ორი ექსპედიცია, რომლის თითქმის ყველა მონაწილეს შემდეგ წელს ვხედავთ საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დაარსების საინიციატივო ჯგუფში, იმთავითვე ორ გარკვეულ ხაზს სახავდა საზოგადოების მთამსვლურ საქმიანობაში — სამეცნიეროსა და სპორტულ-ტურისტულს... საზოგადოების მთასვლა-მგზავრობის განყოფილებამ თავის გარშემო თავიდანვე შემოიკრიბა საკმარისად მრავალრიცხოვანი აქტივი, დიდი გატაცებით შეუდგა იგი ექსპედიციების, მოგზაურობათა და ექსკურსიების მოწყობას და მტკიცედ ნერგავდა ამ ახალ მიმართულებას საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. განყოფილების მუშაობის შედეგები მალე საგრძნობი და ადვილდასანახი გახდა მთელი ქვეყნისათვის. კავკასიონის მიუდგომელ მწვერვალთა დასაპყრობად წარმოებულმა იერიშებმა და სამთო ექსპედიციების ბრწყინვალე გამარჯვებით შესრულებამ შორს გაუთქვა სახელი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავრობის განყოფილებას და, მაშასადამე, თვით საზოგადოებასაც. ორ-სამ წელიწადში ქართული ალპინიზმის წარმატებებმა უცხოეთის პრესაშიაც ჰპოვა გამოძახილი (მაგალითად, ინგლისის გეოგრაფიული საზოგადოების ჟურნალში)“.

როგორც ზემოთ მოყვანილი ამონაწერიდანაც ჩანს, ქართული ალპინიზმის არსი და ხასიათი, თავიდანვე ორი ძირითადი მიმართულებით (სპორტული და მეცნიერული) განისაზღვრა და დღემდე ამ ორი მიმართულებით ვითარდება.

ქართველ მთამსვლელთა პირველი თაობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სპორტულ ასვლებთან ერთად, სწორედ ამ პერიოდში უყრიან საფუძველს ისინი მაღალმთიანი რაიონების მეცნიერულ შესწავლა-ათვისებას. დიდი ენთუზიაზმით და გატაცებით დაიწყო კვლევა-ძიება ძნელად მისადგომ ადგილებში და შედეგმაც არ დააყოვნა — მოკლე ხანში, სახალხო მეურნეობისათვის მეტად მნიშვნელოვან ობიექტებს ჩაეყარა საფუძველი: დამწყები გეოლოგისა და შესანიშნავი მთამსვლელის, სიმონ ჯაფარიძის მიერ კახეთში სახურავი ფიქლებისა და მსოფლიოში სახელგანთქმული ლოპოტის თეთრი მარმარილოს საბადოების აღმოჩენა რად ღირდა მარტო ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნისათვის. ეს ფასდაუდებელი განძი იყო და მათ დღემდე არ დაუკარგავთ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა. ამავე პერიოდში, ზემო სვანეთში პირველ სამეცნიერო ექსპედიციას აწყობს ცნობილი ექიმი და მთამსვლელი სოსო ასლანიშვილი (შემდგომში სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი), რომელიც სამედიცინო დაკვირვებებს აწარმოებს და სწავლობს ჩიყვის პრობლემას მაღალმთიანეთში.

შესაძლოა, მკითხველთა ნაწილისათვის არაა ცნობილი, რომ მყინვარწვერის კალთებზე, დაახლოებით 4000 მ სიმაღლეზე, ამჟამად არსებულ მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის უზარმაზარ შენობას, რომელიც სიმონ ჯაფარიძის სახელს ატარებს და მყინვარწვერზე მიმავალ მთამსვლელთა თავშესაფარსაც წარმოადგენს, ჯერ კიდევ 1925-28 წლებში ჩაეყარა საფუძველი ქართველ მთამსვლელთა პირველი თაობის დაულალავი ზრუნვისა და გარჯის შედეგად. ამ საქმის ენთუზიასტებად და თავდავიწყებულ გულშემატკივრებად გვევლინებიან სიმონ და ალექსანდრა ჯაფარიძეები, იაგორ კაზალიკაშვილი, რომელთათვისაც მყინვარწვერი მრავალმხრივი კვლევის ობიექტი ხდება. მყინვარწვერის კალთებზე მათ საკუთარი ზურგით აიტანეს მეტეოროლოგიური ხელსაწყოები, ააგეს პატარა ქოხი და მოახდინეს პირველი დაკვირვებები ამინდზე, ტემპერატურის ცვალებადობაზე, ჰაერის მასების მოძრაობასა და სხვა მრავალ მოვლენაზე. მათი თავდაუზოგავი შრომით მოხერხდა ტემპერატურის ცვალებადობის შესახებ მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ავტომატური ჩანაწერის გაკეთება ასეთ სიმაღლეზე (მწვერვალზე 8 დღის განმავლობაში დატოვებული იყო თვითმწერი ხელსაწყო). ამ მოვლენას იმ დროს უდიდესი საერთაშორისო გამოხმაურება ჰქონდა და ის თერმოგრამა, სხვა მასალებთან ერთად, შემდგომ პარიზში, მსოფლიო მიღწევათა გამოფენაზეც გაიგზავნა.

1926 წელს გიორგი ნიკოლაძე ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით უცხოეთში გაემგზავრა და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავრობის განყოფილების ხელმძღვანელის პოსტზე იგი შეცვალა სიმონ ჯაფარიძემ, რომელმაც მოკლე ხანში გამოავლინა შესანიშნავი ორგანიზატორისა და უებრო მთამსვლელის ტალანტი. იგი მრავალი მნიშვნელოვანი ასვლის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი ხდება და ყოველი ასვლის „ანგარიშს“ წერილობით აწვდის უცხოეთში მყოფ გიორგი ნიკოლაძეს. ეს მიწერ-მოწერა, როგორც ჩანს, რეგულარულ ხასიათს ატარებდა და დღეს ძვირფას განძს წარმოადგენს მთამსვლელობის ისტორიის ზოგიერთი მომენტის აღსადგენად. აღნიშნული ჩანაწერები და წერილები ნათელს ჰფენენ იმ მისწრაფებებს და ოცნებებს, რითაც ხელმძღვანელობდა ქართველ მთამსვლელთა იმდროინდელი თაობა .

1926 წელს, 8 დღის განმავლობაში ექსპედიცია სიმონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ორჯერ ავიდა მყინვარწვერზე ჯერ გერგეთის, შემდეგ დევდორაკის მყინვარით და მეტეოროლოგიური დაკვირვებებისათვის მწვერვალზე აიტანა ტემპერატურისა და ატმოსფერული წნევის საზომი თვითმწერი მეტეოროლოგიური ხელსაწყოები განკუთვნილი ერთი კვირის დაკვირვებებისათვის. 7 დღის შემდეგ სიმონი კვლავ ადის მწვერვალზე ხელსაწყოებისა და ჩანაწერების წამოსაღებად. ამ ასვლების წარმატებით შესრულების გამო გიორგი ნიკოლაძე სიმონ ჯაფარიძეს პარიზიდან წერდა: „გილოცავ შენ და ყველას თქვენ ასე დიდებულად შესრულებულ ექსპედიციას... ეს ჩემთვის, როგორც ქართველისათვის საამაყო.

დიდად გმადლობ... აღწერილობისათვის, რომელიც მეც და მამაჩემმაც (დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე — ი. ჯ.) დიდის ინტერესით წავიკითხეთ, ერთს კიდევ გთხოვ (თუ ძნელი არ არის) თერმოგრამა გადახატო როგორმე (თუნდაც დაახლოებით) და გამომიგზავნო, რადგან ჩემთვისაც ძლიერ საინტერესოა მისი ნახვა თუ რა მიმდევრობით იცვლება თბილანდი (იგულისხმება ტემპერატურა —ი. ჯ.) მყინვარწვერის მწვერვალზე“.

ერთ-ერთ საპასუხო წერილში სიმონი წერდა გ. ნიკოლაძეს:

„ძვირფასო ძმაო გიორგი! ალბათ უკვე მიღებული გექნებათ ჩემი ვრცელი წერილი მყინვარწვერზე და იალბუზის დასავლეთ მწვერვალზე ასვლების შესახებ... იმ წერილშიც გპირდებოდი. რომ თერმოგრამას მალე გამოგიგზავნი-თქო, მაგრამ მაინც დამაგვიანდა გამოგზავნა ჩემდა დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ახლა, კი, როგორც იქნა დაიბეჭდა. გიგზავნი გადიდებულს, რომელიც შედარებით კარგად გამოვიდა , პირდაპირ თერმოგრამის პირი არ გამოვიდა, რადგან იისფერი მელნით იყო ნაწერი და ამისათვის მე დამჭირდა ტუშით ასლის გადაღება. ასლი ძალიან დაკვირვებით გადავიღე... სხვათა შორის, ევროპის გამოფენებზედაც გამოვგზავნეთ ეს ფოტოსურათები სხვა დიდძალ ფოტოგრაფიულ მასალასთან ერთად. გამოფენებზე გამოვგზავნეთ აგრეთვე დიაგრამები და თერმოგრამის თანახმად შედგენილი ერთი კვირის ტემპერატურის სვლის გრაფიკი — როგორც მყინვარწვერის, ისე შედარებისათვის სტეფანწმინდის და ტფილისის, ყველაფერს ნახავთ პარიზის გამოფენაზე. გრაფიკები და დიაგრამები ჩემი დახაზულია და ნაკლს და უნაკლობას ალბათ მაცნობებთ. სურათებიც ძალიან ბევრი გამოიგზავნა, არჩილმა გაადიდა (არჩილ ბენაშვილი — მთამსვლელობის პიონერი, რომელმაც გ. ნიკოლაძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ალპინისტურ ლაშქრობებში მაღალმთიანეთის ფოტოფირზე აღბეჭდვის საქმეს. 1930 წლამდე მთამსვლელობის ფოტომატიანე, ძირითადად, გ. ნიკოლაძისა და ა. ბენაშვილის ნამუშევრებითაა შექმნილი —ი. ჯ.). სხვა აქაურ ამბებს თუ იკითხავთ, ყველანი კარგად არიან. გაფრენებს ვაწყობთ ნელ-ნელა“ (ქართველი ახალგაზრდობის ის ჯგუფი, რომელიც გ. ნიკოლაძესთან ერთად ტურიზმსა და ალპინიზმს მისდევდა, ქალაქგარეთ გასვლას, გასეირნებას, ექსკურსიას, მოგზაურობას, „გაფრენას“ უწოდებდა — ი. ჯ.).

**ი. ჯაფარიძე,**
**გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.**

(გაგრძელება იქნება)

## როგორ გვემსახურებიან?

# თაროები ელიან ბურთებს

**სამტრედიის** სასპორტო მაღაზია „ლოკომოტივის“ (დირექტორი ო. ასათიანი) ლამაზად გაფორმებული ვიტრინები ბევრ გამვლელს იზიდავს. ყოველდღიურად მრავალი მომხმარებელი შემოდის აქ. ზოგი კმაყოფილი ტოვებს მაღაზიას, ზოგიც — უკმაყოფილო, თითოეულ მათგანს აქვს თავისი მიზეზი თუ საბაბი.

ჩვენც ვეწვიეთ მაღაზიას. ყმაწვილების ერთი ჯგუფიც შემოვიდა. მათ იმ კალათას მიაშურეს, რომელშიც ფეხბურთისა და ფრენბურთის ბურთები ეწყო. რამდენიმე მათგანი ამოიღეს, ხელში შეატრიალეს, ჰაერში შეათამაშეს და უკმაყოფილოდ ისევ კალათში გადაუძახეს.

— ყიდულობთ? — ვკითხეთ ერთ-ერთ მათგანს.

— შეძენა კი გვინდა, მაგრამ ვერ შეგვირჩევია, ყველა კვერცხივითაა. — გვიპასუხა და ამხანაგებთან ერთად მაღაზიიდან გავიდა.

— ბურთების საქმე მართლაც ვერ არის სახარბიელო. — ამბობს ო. ასათიანი. — მარტო წლეულს 100-ზე მეტი წუნიანი ბურთის ჩატანა მოგვიხდა თბილისში, შევაკეთებინეთ და. შემდეგ შემოვიტანეთ მაღაზიაში. დიდი მოთხოვნილება რომ არა, ალბათ, დაბრუნებული ბურთების რაოდენობა ერთი-ორად მეტი იქნებოდა. რაც შეეხება რეზინის ბურთებს, მათზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამას წინათ 3,6 და 5-მანეთიანი რეზინის ბურთები მივიღეთ და არც ერთმა არ ივარგა, ყველა ჩაჩუტული გამოდგა.

ბურთებთან დაკავშირებით სამტრედიელ სპორტის მოყვარულთ სხვა პრობლემებიც აწუხებთ, კერძოდ, ის, რომ მაღაზიაში უკვე ოთხ თვეზე მეტია კალათბურთის ბურთი არ მიუღიათ, ხელბურთის ბურთები (როგორც გოგონებისთვის, ისე ვაჟებისთვის) კი ერთ წელზე მეტია თაროებზე არ გამოჩენილა. ეს მაშინ, როცა მარტო რაიონის სპორტსკოლასთან ხელბურთის შვიდი ჯგუფი მუშაობს, რომ არაფერი ვთქვათ ფიზკულტურის კოლექტივების სპორტულ სექციებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე.

მაღაზიაში ჩვენი სტუმრობის ასეთმა დასაწყისმა უფრო დაგვაინტერესა და გულდაგულ დავიწყეთ თაროებზე მიჯრით მიწყობილი სპორტული საქონლის თვალიერება. მართალია, ასორტიმენტს საუკეთესოს ვერ უწოდებ, მაგრამ არც ურიგოდაა საქმე და, ალბათ, ეს განაპირობებს ყოველთვიური გეგმების გადაჭარბებით შესრულებას (გასულ 10 თვეში 3928 ათასი მანეთის ნაცვლად გაიყიდა 4422,4 ათასი მანეთის საქონელი).

თაროებსა და ვიტრინებში მრავლად ეწყო მაისურები, კედები, ტრუსები, ზურგჩანთები, კარვები, ბადმინტონის ბურთები, რეზინის ქუდები, სათევზაო ჯოხები და მრავალი სხვა დასახელების სპორტული საქონელი, მაგრამ მაღაზიის თანამშრომლებს იმ დღეს (ალბათ, მომდევნო დღეებშიც) მომხმარებელთა დაკმაყოფილება არ შეეძლოთ ბუცებითა და ბუცკედებით (ეს უკანასკნელი კაუნასიდან ოქტომბრის დასაწყისში 600 ცალი მიუღიათ და მაშინვე გაყიდულა). ბადმინტონის ჩოგნებითა და მაგიდის ჩოგბურთის კომპლექტით. რაც შეეხება სხვადასხვა ფერის მაისურებს, სპორტულ ტრუსებსა და პატარა ზომის (№ 29-დან 35-ის ჩათვლით) კედებს, გვითხრეს, რომ ისინი საშვიდნოემბრო დღესასწაულისთვის სკოლებმა წაიღეს. უნდა ითქვას ისიც, რომ მაღაზიაში არც სპორტული კოსტიუმების ნაირგვარობა იგრძნობოდა ზომებისა და ხარისხის მხრივ.

როცა ასორტიმენტს ვათვალიერებდით, ჩვენი ყურადღება ფეხბურთისა და ფრენბურთის ბადეების, ბირთვებისა და ბადროების სიმრავლემ მიიპყრო.

— რაც ჩვენთან გადარიცხვის წესით სპორტული საქონლის შეძენა გაუქმდა, მას შემდეგ არც ერთი ცალი ფეხბურთისა და ფრენბურთის ბადე, ბირთვი და ბადრო არ გაგვიყიდია.—გვეუბნებიან გამყიდველები — ან ვინ შეიძენს მათ ნაღდ ანგარიშზე?

— გადარიცხვის წესით სპორტსაქონლის შეძენის გაუქმებამ დიდად შეგვიშალა ხელი. — თქვა ჩვენთან საუბარში სამტრედიის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ რამაზ თელიამ — დღეისთვის რაიონში 126 ფიზკულტურის კოლექტივია და მათგან 90 პროცენტს სპორტული ინვენტარისა და ფორმებისთვის გამოყოფილი თანხები აუთვისებელი აქვს, მაგალითად, ბაშის საბჭოთა მეურნეობასა და სალიანდაგო დისტანციაში 600-600 მანეთი, სალოკომოტივო დეპოში 650 მანეთი ხელუხლებელი დევს. ასეთივე მდგომარეობაა სხვა კოლექტივებშიც, რადგან გადარიცხვით სპორტსაქონლის შეძენა ფოთსა და ქუთაისში მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

— გარდა ამისა, ქუთაისის № 17 სასპორტო მაღაზიამ წარმოება-დაწესებულებათა და საბჭოთა მეურნეობების დირექციების, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ სპორტული ფორმებისა და ინვენტარისათვის გამოყოფილი თანხების გადარიცხვაზე უარი გვითხრა. — კოლეგის სიტყვა განაგრძნო სამტრედიის „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს თავმჯდომარემ ჯ. ვაშაკიძემ. — მარტო პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხებით კი ფონს ვერ გავალთ, თუმცა ბოლო ხანებში სრულყოფილად ამ თანხების ათვისებასაც ვერ ვახერხებთ არსებული წინააღმდეგობების გამო. უფორმოდ და უინვენტაროდ დარჩენილ კოლექტივებს კი საბაბი ეძლევათ თავი აარიდონ რაიონული თუ სხვა რანგის სპორტულ ღონისძიებებს. ამიტომ, კარგი იქნება, თუ სასპორტო მაღაზიებში გადარიცხვით ვაჭრობას აღადგენენ..

(ცხადია, საკითხი მეტად დამაფიქრებელია და იგი მარტო სამტრედიელ ფიზკულტურელთა სატკივარი როდია. დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მშრომელთა ფიზიკური წრთობისთვის გამოყოფილი ათასობით მანეთი ხელუხლებელი დევს. მათი აუთვისებლობა კი დანაშაულია. ალბათ უნდა გამოინახოს ფიზკულტურის კოლექტივებისთვის სპორტული ფორმებისა და ინვენტარის შესაძენად გამოყოფილი თანხების ათვისების უფრო ეფექტური გზები, რათა მშრომელთა გაჯანსაღების მიზნით გამოყოფილი თანხები მათ სრულად მოხმარდეს.

**ვ. დანელია,**
**(„ლელოს“ სპეც. კორ.).**
სამტრედია.



# ბრძოლას აგრძელებენ უძლიერესნი



**დღეს** თბილისის სპორტის სასახლეში განახლდება სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატი კალათბურთელ ვაჟთა შორის.

ფინალური ექვსეულის პირველი ტურის მასპინძელი თბილისის „დინამო“ მთელი მონდომებით ემზადებოდა ამ საპასუხისმგებლო შეხვედრისთვის.

ჩვენი კორესპონდენტი დაესწრო ერთ-ერთ ასეთ ვარჯიშს. მკითხველს ვთავაზობთ მცირე რეპორტაჟს.

ვარჯიში სპორტის სასახლეში დილის 11 საათზეა დანიშნული. მოთელვას ტყორცნები მოჰყვა. შემდეგ კალათბურთელები „თეთრებად“ და „ლურჯებად“ დაიყვნენ და ტაქტიკური თამაშიც (გუნდი პრესინგს ამუშავებდა) დაიწყო. თეთრებს შორის არიან მილოვიდოვი (გაბრიჩიძე), ბოროდაჩოვი, გურასპაული, დარსაძე, ლიპარტელიანი. ლურჯები: დერიუგინი, ბიჭიაშვილი, კაპუსტინი, ჯამარჯაშვილი, ბერუაშვილი. „პრესინგი“ მოიგეს ლურჯებმა 17:16.

გუნდის მწვრთნელებს ლ. მოსეშვილსა და ვ. მხეიძეს ახლა „ზონურ“ ვარჯიშზე გადაჰყავთ კალათბურთელები. ერთმანეთს ეჯიბრებიან იგივე შემადგენლობანი. აქ თეთრებმა იმარჯვეს — 12:8.

საკმაოდ ინტენსიური დატვირთვის შემდეგ დინამოელებმა საღამოს 7 საათამდე შეისვენეს და ისევ განაახლეს ვარჯიში.

სპორტის სასახლის სარბიელზე ახლა ორმხრივი თამაში გაიმართა. ანგარიშით 60:58 გაიმარჯვეს ლურჯებმა.

იმ დღეს მწვრთნელები კალათბურთელებს მომავალ მატჩებზეც ესაუბრნენ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „ჟალგირისთან“ მატჩის წინასწარ ანალიზს.

„დინამო“ ამ ტურს შესუსტებული შემადგენლობით დაიწყებს. პირველ ორ მატჩს ვერ ითამაშებს გუნდის კაპიტანი გ. ბიჭიაშვილი. საქმე ის არის, რომ მოსკოვში „სტატიბასთან“ მატჩში მას შეკამათებისთვის მოედანი დაატოვებინა ლენინგრადელმა არბიტრმა ვ. შამისმა. მსაჯს იმ მომენტში ყურადღებიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ კაპიტანს ჰქონდა ამის უფლება. მერე ყველაფერი გაირკვა, მაგრამ გვიან იყო.

ასე თუ ისე, დღეს იწყება ძალზე საინტერესო ტური, რომელიც უთუოდ იმოქმედებს ადგილების საბოლოო განაწილებაზე. გუნდის თითოეული წევრი იმედოვნებს, და ეს სავსებით რეალურია, რომ „დინამო“ პირველ ოთხეულში დაიმკვიდრებს ადგილს და ერთ-ერთი მედლისთვის გააგრძელებს ბრძოლას.

ჯერჯერობით წინაა „ჟალგირისი“ — 4 ქულა, 3-3 ქულა აქვთ თბილისის „დინამოს“, ცსკა-სა და „სტროიტელს“, 2 — „უნივერსიტეტს“, 0 — ასკ-ს.

## ტურის კალენდარი

### 26 ნოემბერი

ასკ — „სტროიტელი“, ცსკა — „უნივერსიტეტი“, „ჟალგირისი“ — „დინამო“.

### 27 ნოემბერი

ცსკა — ასკ, „ჟალგირისი“ — „უნივერსიტეტი“, „დინამო“ — „სტროიტელი“.

### 28 ნოემბერი

„უნივერსიტეტი“ — ასკ, „ჟალგირისი“ — „სტროიტელი“, „დინამო“ — ცსკა.

### 30 ნოემბერი

„ჟალგირისი“ — ასკ, „სტროიტელი“ — ცსკა, „დინამო“ — „უნივერსიტეტი“.

### 1 დეკემბერი

„სტროიტელი“ — „უნივერსიტეტი“, „ჟალგირისი“ — ცსკა, ასკ — „დინამო“.

ტურის მატჩები დაიწყება 16 საათსა და 30 წუთზე. მასპინძელთა — თბილისის დინამოელთა შეხვედრები 20 საათზე.

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა ერთ-ერთი უკანასკნელი ვარჯიშის მომენტები.**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



ეს ფოტოსურათები ფოტოკორესპონდენტმა გ. დოლენჯაშვილმა თბილისის ამასწინანდელი ტურის დროს გადაიღო. მკითხველს უთუოდ მიანიჭებს სიამოვნებას იმ საინტერესო სპორტული ორთაბრძოლების ბევრი ამაღელვებელი წუთის გახსენება.

● წყალბურთი

# ოთხნი სსრ კავშირის ნაკრებში

„დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოში სასიხარულო დეპეშა მოვიდა მოსკოვიდან. სსრ კავშირის იუნიორ წყალბურთელთა (1966-67 წ. წ. დაბადებულნი) ნაკრებ გუნდში მიწვეულია ოთხი თბილისელი: სანდრო ბითაძე, ძმები ლევან და გიორგი წულაძეები და გიორგი კერესელიძე (ოთხივე სპორტსმენი მწვრთნელის თ. ივანიშვილის აღსაზრდელია).

● მხატვრული ტანვარჯიში

# ყურადღებას ითხოვენ

**თბილისში** დამთავრდა მოსწავლეთა პირად-გუნდური რესპუბლიკური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. I ადგილზე გავიდა თბილისი-1 — 270,75 ქულა, მას 17 ქულით ჩამორჩა მეორე ადგილზე გასული რუსთავის გუნდი, მესამე ადგილი დაიკავა ბათუმის ნაკრებმა — 229,6, ხოლო მეოთხე — ქუთაისელმა გოგონებმა — 145,15.

როგორც ყოველთვის, საუკეთესო მომზადება აჩვენეს თბილისელმა სპორტსმენებმა, რომლებიც ლიდერობდნენ ასპარეზობას პროგრამის ყველა სახეობაში. უფროს ასაკობრივ ჯგუფში თავი გამოიჩინეს სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრების წევრმა ე. შირინკინამ — 55,15 ქულა, ვ. დარბაიძემ — 54,95, ნ. გრიშაშვილმა — 54,7. უმცროს ასაკობრივ ჯგუფში I ადგილზე გავიდა ე. ბედოშვილი — 51,4, მას მხოლოდ 0,05 ქულით ჩამორჩა II ადგილზე გასული ი. ჩხეიძე. ო. ნადირაშვილი კი 51,25 ქულით III ადგილზე გავიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველობის ორივე გამარჯვებული „შრომითი რეზერვების“ (უფროსი მწვრთნელი მ. ვიშნიაკოვა) წარმომადგენელია.

დედაქალაქის სპორტსმენებს ვარჯიშის ყველა პირობა აქვთ და შედეგიც სახეზეა, მაგრამ სხვა ქალაქებში სპორტის ამ სახეობის განვითარების საკითხი ღიად რჩება.

დადგა დრო, რომ რუსთაველები მიისწრაფოდნენ საკავშირო სარბიელზე გამოსასვლელად, მაგრამ ამას აფერხებს... „მომთაბარე ცხოვრება“. ჯერ იყო და ისინი ფეხბურთელების გვერდით ვარჯიშობდნენ, შემდეგ საათ-ნახევარი გამოუყვეს სპორტდარბაზ „ხიმიკში“, რაც ძალზე ცოტაა ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამ საქმეში ალბათ უნდა ჩაერიოს ქალაქის სპორტკომიტეტი, რათა რუსთაველ მხატვრულ ტანმოვარჯიშეებს ყოველდღიურად 3-4 საათით ვარჯიშის საშუალება მიეცეთ.

ანალოგიური მდგომარეობაა ბათუმში, სადაც ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლის დარბაზში ერთდროულად 3 ჯგუფთან 3 მწვრთნელი მუშაობს. ასეთ პირობებში კი ზედმეტია ლაპარაკი სპორტის ოსტატების მომზადებაზე.

ქუთაისელ სპორტსმენებს კი მალე დასჭირდებათ... აირწინაღები, საქმე ისაა, რომ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლის სპორტდარბაზი აბანოს გვერდით მდებარეობს და დარბაზი ორთქლით ივსება. არის სხვა საფრთხეც, ჭერი მალე ჩამოინგრევა, მაგრამ ჯერჯერობით ეს არავის არ აწუხებს. ერთ დროს ტანმოვარჯიშეებს დაუთმეს მე-20 საშუალო სკოლის სპორტდარბაზი. თავიდან ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ შემდეგ სხვადასხვა მიზეზის გამო ქუთაისის ნაკრებ გუნდს დარბაზში არ უშვებდნენ და იგი დერეფანში ვარჯიშობდა (?!) და ეს ხდება სპორტული ტრადიციების ქალაქში, რომელმაც არაერთი მსოფლიოს, ევროპისა და ქვეყნის ჩემპიონი გამოზარდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

**ვ. ბუკინი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფა-ს თასზე

**გასულ** ოთხშაბათს გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირის — უეფა-ს თასის მერვედფინალის პირველი ტურის მატჩები.

როტერდამის (ჰოლანდია) „სპანგენის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტა“ და მოსკოვის „სპარტაკი“.

მასპინძლებმა მეტოქის კართან უკვე პირველივე წუთებზე შექმნეს რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი. თავდამსხმელებს ეირს, რიკერინგს, ვან ჰაალსა და სხვებს ზედიზედ მიეცათ ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ საუკეთესოდ ითამაშა მეკარე დასაევმა, რომელმაც მეტად ძნელი ბურთები მოიგერია. მოსკოველებს გაძლიერებული ძალებით უხდებოდათ თავის დაცვა, მაგრამ საპასუხო კონტრიერიშების დროს მათაც ჰქონდათ ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობანი. სპარტაკელთა ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევისას ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა დაარღვიეს წესი, გავრილოვმა საჯარიმო გადააწოდა როდიონოვს, რომელმაც შორეული, ზუსტი დარტყმით ბურთი გაგზავნა მეკარე ნორტვაიგის კარში — 1:0.

შესვენების შემდეგ „სპარტა“ კვლავ უტევდა, „სპარტაკი“ კვლავ თავს იცავდა და 81-ე წუთამდე ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა. ამ დროისთვის მოსკოველები 10 ფეხბურთელის შემადგენლობით თამაშობდნენ, ვინაიდან მეორე გაფრთხილების მიღების შემდეგ მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ცენტრალური მცველი გესი. სწორედ ამ დროისთვის როდიონოვმა თავის საჯარიმო მინდორზე წააქცია ერთ-ერთი ჰოლანდიელი ფეხბურთელი, პორტუგალიელმა მსაჯმა ფ. ნაზარემ 11-მეტრიანი დანიშნა და დე ვოლფმა ზუსტად შეასრულა დარტყმა — 1:1.

მოსკოვის „სპარტაკმა“ მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: დასაევი, სოჩნოვი, გესი, ბაზულევი, ბუბნოვი, როდიონოვი, გლადილინი, მოროზოვი, გავრილოვი, ჩერენკოვი, არგუდიაევი. გააფრთხილეს გავრილოვი, სოჩნოვი და როდიონოვი, გააფრთხილეს და მინდვრიდან გააძევეს გესი. გააფრთხილეს, აგრეთვე, ჰოლანდიელი ფეხბურთელი ვან ოსტენი.

მართალია, მოსკოვის „სპარტაკს“ მეტად ძნელი ბრძოლა გარდახდა როტერდამის სტადიონზე, მაგრამ მატჩის ანგარიში საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საპასუხო მატჩში ჩვენი გუნდი განამტკიცებს თავის წარმატებას და შეძლებს მეოთხედფინალში თამაშის უფლების მოპოვებას.

**ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ საპასუხო მატჩი 7 დეკემბერს გაიმართება თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.**

მოგვყავს 23 ნოემბერს უეფა-ს თასზე გამართული მერვედფინალის I ტურის შეხვედრათა შედეგები:

„სპარტა“ (როტერდამი, ჰოლანდია) — „სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრ კავშირი) 1:1.

„ლანი“ (საფრანგეთი) — „ანდერლეხტი“ (ბელგია) 1:1.

„რადნიჩკი“ (იუგოსლავია) — „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) 0:2.

„უოლვერჰემპტონი“ (ინგლისი) — „სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია) 2:3.

„ბაიერნი“ (გფრ) — „ტოტენჰემი“ (ინგლისი) 1:0.

„ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი) — „სელტიკი“ (შოტლანდია) 0:0.

„აუსტრია“ (ავსტრია) — „ინტერი“ (იტალია) 2:1.

„შტურმი“ (ავსტრია) — „ლოკომოტივი“ (გდრ) 2:0.

ამ გუნდების საპასუხო შეხვედრები აგრეთვე გაიმართება, 7 დეკემბერს.

● ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

**მახარაძე (ჩვენი სპეც. კორ.).** აქ გრძელდება საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის კალენდარული მატჩები.

მორიგი, მესამე ტურის შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „კახეთი“ (თელავი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 2:0, „სულორი“ (ვანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) — 1:1, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:1.

სატურნირო ცხრილში სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამგურალი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 8-3 | 5 |
| „კახეთი“ | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 4 |
| „სულორი“ | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 4 |
| „მეტალურგი“ | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| „დინამო“ | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| „ჰერეთი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 0-6 | 1 |

კვირას, 27 ნოემბერს თამაშობენ: „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „დინამო“ (ზუგდიდი), „მეტალურგი“ (რუსთავი) — „სამგურალი“ (წყალტუბო), „კახეთი“ (თელავი) — „სულორი“ (ვანი).

## „გადასასვლელის“ ტურნირზე

**სოჭისა** და ადლერის სტადიონებზე გრძელდება ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრება „გადასასვლელის“ თასზე. ტურნირი მიმდინარეობს ორ ეტაპად, მონაწილენი 4 წინასწარ ჯგუფში იბრძვიან და ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება ეძლევათ მხოლოდ გამარჯვებულებს.

IV ჯგუფში გამოდიან ლენინგრადის, ლატვიის, მოლდავეთის, ტაჯიკეთისა და საქართველოს გუნდები. I ტურში მატჩები დამთავრდა ასეთი შედეგებით: საქართველო — ლენინგრადი 1:0, მოლდავეთი — ლატვია 2:1.

II ტურში საქართველოს ნაკრები დამარცხდა მოლდავეთის გუნდთან შეხვედრაში — 0:2 (და არა პირიქით, როგორც ეს შეცდომით გადმოგვცეს ადლერიდან), ხოლო ტაჯიკეთის ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა ლენინგრადის გუნდი.

III ტურში საქართველოს ნაკრებმა ანგარიშით 2:0 მოუგო ლატვიელ ფეხბურთელებს, ხოლო მოლდავეთისა და ტაჯიკეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

მორიგი ტურის წინ, რომლის შეხვედრები გუშინ გაიმართა, 5 ქულით ლიდერობდა მოლდავეთის ნაკრები. საქართველოს ფეხბურთელებმა დააგროვეს 4 ქულა, ტაჯიკეთის გუნდს 3 ქულა ჰქონდა.

## სუპერთასის პირველი მატჩი

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ჰამბურგში გაიმართა ევროპის სუპერთასის პირველი მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა „ჰამბურგმა“, რომელიც 1982-83 წლების ჩემპიონთა თასს ფლობს, მიიღო თასების მფლობელთა თასის მფლობელი შოტლანდიის „აბერდინი“.

მატჩს დაესწრო მხოლოდ 12 ათასი მაყურებელი. მასპინძლებს უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ შედეგი ამას არ გამოუღია — 0:0.

„აბერდინი“ და „ჰამბურგი“ ერთმანეთს კვლავ შეხვდებიან შოტლანდიის ქალაქ აბერდინში 20 დეკემბერს.



ბასტი, მერანო...

● კრივი

## კუბელ იუნიორთა წარმატება

**სანტო-დომინიგოს** რინგზე გამართულ იუნიორთა მსოფლიოს პირველობაზე წარმატებით გამოვიდნენ კუბელი მოკრივეები. თავისუფლების კუნძულის წარმომადგენლებმა 9 მედალი მოიპოვეს. აქედან 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს. ასეთი დამაჯერებელი გამარჯვება იმას მოწმობს, რომ სპორტის ეს სახეობა ძალზე პოპულარულია კუბაში და სახელგანთქმულ ეროვნულ ნაკრებს ღირსეული თაობა ეზრდება.

პირველობის გამარჯვებულთა შორის არიან აგრეთვე მასპინძლები (დომინიკანის რესპუბლიკის მოკრივეები), აშშ-ს, პუერტო-რიკოსა და კანადის წარმომადგენლები.

საბჭოთა მოკრივეები ტურნირში არ მონაწილეობდნენ.

## 5 მედლით

**ერევანში** გაიმართა სსრ კავშირის პირადგუნდური ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ყრუ სპორტსმენთა შორის. შეჯიბრებაში 12 მოკავშირე რესპუბლიკის 130-მდე ფალავანი მონაწილეობდა.

წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ყრუთა საზოგადოების სპორტსმენებმა, რომლებმაც რსფსრ-ს გუნდის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს.

სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ ბ. კარიბოვი (62 კგ), მ. ქვლივიძე (68), რ. ფოლადაშვილი (82), მეორე ადგილზე გავიდა ზ. ალბაროვი (48), მესამეზე — ვ. მუსაევი (52).

საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩარიცხეს ჩვენი რესპუბლიკის შვიდი წარმომადგენელი: ზ. ალბაროვი, ვ. მუსაევი, ბ. კარიბოვი, ვ. ლობჟანიძე, მ. ქვლივიძე, რ. ფოლადაშვილი, ზ. ზაპოროჟეცი.

გუნდი ამ ასპარეზობისთვის მოამზადა მწვრთნელმა ე. სხირტლაძემ.

ბ. შუგლაძე.

• • •

**სურათებზე: (მარცხნიდან) რ. ფოლადაშვილი, მ. ქვლივიძე, ვ. კარიბოვი; საქართველოს ყრუ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი.**

**ნ. ფირანიშვილის ფოტო.**





## ემზადებიან...

**მომავალი** ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ 1984 წლის აპრილში საბოლოოდ შეამოწმებენ ლოს-ანჯელესის, სან-ფრანცისკოს, ბოსტონისა და ბალტიმორის სტადიონებს, სადაც ჩატარდება ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის ფინალის წინასწარი მატჩები.

მანამდე, თებერვალში, ეკვადორში გაიმართება სამხრეთ ამერიკის 8 ქვეყნის ოლიმპიური გუნდების შესარჩევი შეჯიბრება. პირველ ორ ადგილზე გასულნი შევლენ 16 ფინალისტის რიცხვში.

## ერთიდან 100 წლამდე

**პრაღა.** ამიერიდან ბრატისლაველ მოცურავეებს ეკუთვნით თავისებური რეკორდი გაცურვაში, რომელიც სლოვაკიის დედაქალაქში მოეწყო. აქ გაიმართა ესტაფეტა, რომელშიც 1000 მონაწილიდან თითოეულს უნდა გაეცურა 100 მეტრი. მონდომებას წარმატება მოჰყვა: ბრატისლაველი სპორტსმენების დროა 25:7.2,8. ეს შედეგი 11 წუთით აღემატება ადრინდელ რეკორდს, რომელიც ქალაქ ჩესკე-ბუდეთევიცეს მოცურავეებს ეკუთვნოდათ.

ბრატისლავაში ცურვის პოპულარობაზე მეტყველებს მონაწილეთა ფართო ასაკობრივი დიაპაზონი. ყველაზე უფროსი მოცურავე იყო 72 წლის, ხოლო უმცროსი — 7 წლის.

(საკდესი.)

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 19 ნოემბერს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, 47-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 49“-დან:** ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (7 ბარათი) მოგება 5327 მანეთია, ოთხისთვის (584 ბარათი) — 78, სამისთვის (13855 ბარათი) — 5.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (16 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (2654 ბარათი) — 127, სამისთვის (79240 ბარათი) — 7.

მოგებული თანხის განაღდება — 30 ნოემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჰადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სოფარულის. 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე — 07952